ნიკო კეცხოველის პრემია - ინფორმაცია ნახევარფინალური ტურის შესახებ

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის პირველი ტური დასრულდა. მასში გამარჯვებული 100 სკოლა ძალებს რეგიონულ ტურებში გამოცდის.

გამარჯვებულები წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების მიხედვით შეირჩა.

ყველაზე მეტი, 4,485 ქულის დაგროვება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმომადგენელმა, ლელოვანის საჯარო სკოლამ შეძლო. მეორე ადგილზე ეწერის სკოლა გავიდა სამეგრელოდან, მესამეზე – კახეთის სოფელ კურდღელაურის სკოლა, მეოთხე ადგილს კი იმერეთის რეგიონის წარმომადგენელი, სოფელ ბაზალეთის სკოლა იკავებს. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ დაგროვებულმა ქულებმა 4,000–ს გადააჭარბა, რაც თითოეული მათგანის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებულ 100 გარემოსდაცვით აქციას, მედიაში გამოქვეყნებულ 200–ზე მეტ სტატიას, ან სოცილაური მედიით გავრცელებულ 1,000–მდე გარემოსდაცვით გზავნილს ნიშნავს.

ინსტრუქციები ნახევარფინალისათვის

თითოეული ნახევარფინალი ჩატარდება 2 – შესარჩევ და დასკვნით ტურად.

შესარჩევ ტურში გამარჯვებული სკოლები ფინალის საგზურისათვის ერთმანეთს დასკვნით ტურში შეეჯიბრებიან.

კონკურსანტების შეფასება მოხდება სამ კომპონენტში:

1. წლის განმავლობაში დაგროვილი ქულები
2. „ეკოსპიკერი“ (შეაფასებს ჟიური)
3. პრეზენტაცია (შეაფასებს ჟიური)

აქედან, პირველი ორი კომპონენტი გამოყენებული იქნება შესარჩევ ტურში, სკოლების მიერ წინასწარ მომზადებული პრეზენტაციების წარდგენას კი მხოლოდ დასკვნით ტურში გადასული სკოლები შეძლებენ.

საკონკურსო ინსტრუქციების მიხედვით, ნახევარფინალში მონაწილე ყველა სკოლას მოეთხოვება „გარემოსდაცვითი მიმართვისა“ და პრეზენტაციის მომზადება – შესაძლო დასკვნითი ტურისათვის. გთხოვთ, მიმართვის ტექსტი და პრეზენტაცია გადაუგზავნოთ პროექტის რეგიონულ კოორდინატორებს ნახევარფინალის თარიღამდე 1 კვირით ადრე. სკოლა, რომელსაც არ ექნება პრეზენტაცია, მოიხსნება კონკურსიდან.

სკოლები, რომლებიც ნახევარფინალის შესარჩევ ტურს ვერ გაივლიან, გადაინაცვლებენ დასკვნითი ტურის გულშემატკივრებში.

<u>კომპონენტი 1</u>

წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების რაოდენობა

სკოლები ნახევარფინალში ჩაერთვებიან წინასწარ მინიჭებული ქულებით, რომელიც მათ მიერ საკონკურსო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას ასახავს. წინასწარი ქულები დაითვლება შემდეგნაირად:

- 2,000 ქულამდე – წინასწარ დაგროვილი 100 ქულა უდრის ნახევარფინალის 1 ქულას[1]
- 2,000 ქულის ზევით – წინასწარ დაგროვილი 200 ქულა უდრის ნახევარფინალის 1 ქულას[2]

<u>კომპონენტი 2</u>

„ეკოსპიკერი“ (ქულები ფასდება 0-დან 12-მდე)

ნახევარფინალზე გაიმართება „ეკოსპიკერის“ კონკურსი, რისთვისაც თითოეულმა სკოლამ წინაწარ უნდა მოამზადოს და წარმოთვქას „გარემოსდაცვითი მიმართვა“ (ზეპირი გამოსვლა, მოწოდება, განაცხადი, მანიფესტი, ინიციატივა).

„ეკოსპიკერში“ მონაწილე სკოლებს ქულებს მიანიჭებს ჟიური, რომელიც პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით და დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდება.

ჟიურის თითოეულ წევრს წინასწარ გადაეცემა შეფასების კრიტერიუმების სია, რომელიც საშუალებას მისცემს, სკოლას მიანიჭოს 0–დან 10 ქულამდე.

„გარემოსდაცვითი მიმართვის“ შეფასების კრიტერიუმები:

- შინაარსი (აქტუალობა) – 0-3
- ფორმა (კრეატიულობა, ეფექტურობა) – 0-3
- ეფექტიანობა[3] – 0-2
- რელევანტურობა – 0-2
- დამოკიდებულებები (გარემოსდაცვითი აზროვნება, ჰუმანიზმი, პასუხისმგებლობა, ტოლერანტობა, სოლიდარობა, გენდერი) – 0-2

ჟიურის ყველა წევრის მიერ მინიჭებული ქულების რაოდენობა გაიყოფა ჟიურის წევრების რაოდენობაზე და დამრგვალდება მეასედებად.

„ეკოსპიკერში“ მიღებული ქულა შეჯამდება წინასწარ მინიჭებულ ქულებთან და საუკეთესო სკოლები გადავლენ დასკვნით ტურში, სადაც წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს პრეზენტაციების სახით წარმოადგენენ.

---

[1] მაგალითად, 300-ქულიანი სკოლა მიიღებს 3 ქულას, ხოლო 1,800 ქულიანი – 18 ქულას

[2] მაგალითად, 4,200-ქულიანი სკოლა მიიღებს 31 ქულას (20+11)

[3] მიმართვაში უნდა ჩანდეს წარმოდგენილი იდეების განხორციელებისა და მასში სკოლის თუ პარტნიორი ორგანიზაციების ჩართვის რეალური პერსპექტივა

„ეკოსპიკერის“ ფორმატი და შინაარსი

„ეკოსპიკერისათვის“ ნახევარფინალში მონაწილე თითოეულმა სკოლამ უნდა მოამზადოს და წარმოთქვას „გარემოსდაცვითი მიმართვა“ (ზეპირი გამოსვლა, მოწოდება, განაცხადი, მანიფესტი, ინიციატივა).

მიმართვის მაქსიმალური ხანგრძლივობა: 1 წუთი[4].

მიმართვის ობიექტი: საზოგადოება, ხელისუფლება, კონკრეტული პირი, ორგანიზაცია, უწყება და სხვა ნებისმიერი დაინტერესებული მხარე.

მასშტაბი: შეუზღუდავი (ლოკალური, რეგიონული, ეროვნული).

მიმართვის ფორმა: თავისუფალი (შესაძლებელია როგორც აკადემიური, ასევე – მხატვრული).

სპიკერების რაოდენობა: ერთი.

შინაარსი: „მიმართვაში“ კარგად უნდა ჩანდეს პოზიცია; როგორც კრიტიკული, ასევე პოზიტიური შეფასებები უნდა იყოს მაქსიმალურად კონკრეტული; ზუსტი მინიშნება უნდა გაკეთდეს როგორც მიმართვის სუბიექტზე (ჩვენ – სკოლა, ახალგაზრდობა, გარემოსდამცველები, პრემიის მონაწილეები), ასევე ობიექტზე (თქვენ – ხელისუფლება, საზოგადოება, კონკრეტული ადრესატი); კატეგორიულად დაუშვებელია შეურაცხყოფა, ცილისწამება, უხამსობა და ძალადობის მოწოდება. მისაღებია იუმორი.

ფორმა: „მიმართვა“ შესაძლებელია მომზადდეს როგორც აკადემიური, ასევე მხატვრული ფორმით. ორივე შემთხვევაში, შეფასდება ავტორის კრეატიულობა (შემოქმედების უნარი). დასაშვებია ტექნიკური გაფორმება (აუდიო, ვიდეო) და თვალსაჩინოებები (ბანერი, ტრანსფარანტი).

აუცილებელია გარემოსდაცვითი ტერმინოლოგიის გამოყენება.

[4] დროის ჩარჩო მკაცრად იქნება დაცული

<u>**კომპონენტი 3**</u>

პრეზენტაციები

პირველი ორი კომპონენტის ქულების მიხედვით შერჩეული სკოლები ნახევარფინალის დასკვნით ტურში წარადგენენ პრეზენტაციას მათ მიერ საკონკურსო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

პრეზენტაციის ხანგრძლივობა – მაქსიმუმ 5 წუთი.

ტექნიკური და შინაარსობლივი მოთხოვნები – პრეზენტაცია უნდა იყოს აწყობილი PowerPoint (ppt) ფორმატში და შედგებოდეს 8-10 სლაიდისაგან.

პირველ ოთხ-ექვს სლაიდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია კონკურსის ფარგლებში განხორციელებული გარემოსდაცვითი საქმიანობების შესახებ.

შემდეგ სლაიდებზე უნდა გადანაწილდეს:

- სამუშაო პროცესის შეფასება (მიღებული გამოცდილება, გამოწვევები და შესაძლებლობები)
- სამომავლო გეგმები და ინიციატივები
- პარტნიორები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სკოლის/გუნდის ძლიერი მხარეები (მთავარი მახასიათებლები, რითიც სკოლა/გუნდი იმსახურებს ჟიურის მხარდაჭერას და გამარჯვებას)

პრეზენტაციების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება:

- ფაქტობრივ მასალას
- ვიზუალურ მასალას
- სტატისტიკას (სასკოლო აქტივობების, ლაშქრობების, მონიტორინგის, კვლევების, პოსტების, სტატიების, ტელესიუჟეტების, სახელმწიფო რეაგირების, პარტნიორების რაოდენობა).

პრეზენტაციის დროს შესაძლებელია აუდიო ეფექტების, ვიდეოს ან ფოტო–სლაიდშოუს გამოყენება. სკოლის გამოსვლის ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს მკაცრად დადგენილ დროს.

სერტიფიკატები და პრიზები

კონკურსში მონაწილე ყველა სკოლას გადაეცემა სერტიფიკატი კონკურსში მონაწილეობისათვის.

ნახევარფინალში მონაწილე ყველა სკოლას გადაეცემა სერტიფიკატი მიღწეული წარმატებისათვის.

ფინალში მონაწილე ყველა სკოლას გადაეცემა სპეციალური სერტიფიკატი, დროშა და მიენიჭება „მწვანე სკოლის“ სტატუსი.

სერტიფიკატები გადაეცემათ გამორჩეულ მოსწავლეებს და პედაგოგებს.

ნიკო კეცხოველის პრემიის ლაურეატ 3 სკოლას გადაეცემა პრემია და საპატიო დაფა; გამარჯვებული სკოლები მიიღებენ რეგიონული ეკო–ჰაბის სტატუსს და შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ორგანიზატორები, პარტნიორებთან ერთად, განიხილავენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობას. ასევე დაწესდება ინდივიდუალური პრიზები სკოლის გუნდის ლიდერი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებულია დამოუკიდებელი ნომინაციები და პრიზები, როგორც ნახევარფინალებში, ასევე ფინალურ ტურზე.

როგორ შეირჩა სკოლები ნახევარფინალისათვის

ნახევარფინალური ტურისათვის შეირჩა 100 სკოლა საქართველოს მასშტაბით.

სკოლების შერჩევის კრიტერიუმი იყო დაგროვილი ქულები.

მინიმალურ გამსვლელ ზღვრად დადგინდა 300 ქულა.

აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ მყოფი სკოლები, სამწუხაროდ, ვერ გადავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

ქვოტები ფინალის საგზურისათვის

თითოეულ ნახევარფინალურ ტურში განსხვავებული რაოდენობის ფინალის საგზურებია განსაზღვრული.

რეგიონების აქტიურობიდან გამომდინარე, ქვოტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ბათუმი (აჭარა და გურია) – 3 ფინალისტი
- ზუგდიდი (სამეგრელო-ზემო სვანეთი და აფხაზეთი) – 4
- ქუთაისი (იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) – 4
- თბილისი (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე–ჯავახეთი, მცხეთა–მთიანეთი, თბილისი) – 5
- თელავი (კახეთი) – 3

ნახევარფინალში შეწყვილებული რეგიონები იბრძოლებენ ერთიანი ქვოტის ფარგლებში[5].

[5] მაგალითად, აჭარისა და გურიის გუნდებიდან ფინალურ ტურზე გადავა 3 (2+1) გუნდი, რეგიონული პრინციპის მიუხედავად

ფინალური ტური

ნიკო კეცხოველის პრემიის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თბილისში, 21 მარტს, ტყეების დაცვის საერთაშორისო დღეს

ფინალური ტურის ინსტრუქციები ფინალისტებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად. ასევე დაგეგმილია გადამზადების კურსი ფინალისტებისათვის, 18–20 მარტს, ბულაჩაურის მწვანე ცენტრში.

ფინალური ტური და ნიკო კეცხოველის პრემიის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება კონკურს „ფოტო სინთეზთან“ ერთად.